გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


გაზეთი „**ივერია**“ მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.

**მართა გრიგოლის ასული ზაალიშვილისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ მის მეუღლის, **ნიკოლოზ ზაქარიას ძის ზაალიშვილის** გარდაცვალების მე-40 დღეს, კვირას, 15 მარტს, გადახდილი იქნება მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი ჩუღურეთის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ. (1—39—1)

ქართული თეატრი

კვირას, 15 მარტს,

ქართულ დრამატიულის დასის არტისტებისაგან

**მ. მ. საფაროვის თაოსნობით**,

ვლ. ალექსი-მესხიშვილისა და სვიმონიძის მონაწილეობით, გამართული იქნება წარმოდგენა:

## ჰამლეტი

ტრაგედია 5 მოქმ., შექსპირისა, თარგმანი თავ. ივ. მაჩაბლის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, საფაროვი, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, გამყრელიძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზედ

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ტფილისის კრუჟოკი

შაბათს, 14 მარტს,

ექიმი კ. გორალევიჩი წაიკითხავს მე-3

## ლექცია

მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ:

ჰაერი გარეთ და შინ ჰიგიენის მხრივ

(ბუნდოვანის სურათებით).

ლექცია დაიწყება საღამოს 8 საათზედ.

ტფილისი, 13 მარტი

ბევრი ვაი-ვაგლახი აუტანია საფრანგეთს, ბევრჯელ ჩავარდნილა დიდს საგონებელსა და გასაჭირში, ბევრჯელ უდენია მის შვილთა სისხლს ნაკადულივით და ბევრჯელ საეჭვო გამხდარა თვით მისი არსებობაც-კი, მაგრამ ამ სულით ძლიერს ქვეყანას მაინც იმდენი ღონე კიდევ შერჩენია, რომ ადვილად მოუშორებია თავიდამ ყოველივე განსაცდელი, ადვილად გაუმთელებია თავისი დაწყლულებული და მრავალგან დაკოდილი სხეული, გამოსულა გამარჯვებული, ამდგარა დაცემული და ფენიქსებრ განახლებულა.

რა უბედურობამ არ გადაიარა იმის თავს გრიგალივით, რა ღვთისცეცხლი არ ჩაუვარდა, რა ქარცეცხლი არ გამოიარა საფრანგეთმა. სულ ყველას რომ თავი დავანებოთ და მარტო ამ ქვეყნის რევოლიუციები მოვიგონოთ, ისიც საკმარისია იმ აზრის დასასურათებლად, თუ რა ტანჯვა-ვაებას არ გაუძლო და რა ვაგლახი არ აიტანა მხნედ, ვაჟკაცურად.

დაუმატეთ ამას 1870 წლის საუბედურო ომის საშინელებანი, მაშინდელი მისი დამცირება და განადგურება, დაკარგვა ელზას-ლოთარენისა, რომელიც მისი სისხლი და ხორცი იყო, 5 მილიარდი კონტრიბუცია გერმანელებისაგან წართმეული, და ადვილად მიხვდებით, რაოდენი სიცოცხლის ზღვა სდუღს ამ საკვირველს ქვეყანაში, რაოდენი დაუშრომელი მხნეობა და გარჯის უნარი ტრიალებს, რომ ყოველმავე ამან მაინც ვერა დააკლო-რა ყოველმავე ამან ვერ წაართვა საფრანგეთს ვერც სახელი და ღირსება, ვერც მეთაურობა მსოფლიოსა და კაცობრიობის წარმატებაში, ვერ მოუკლა ხალისი და ქინი სხვათა მასწავლებლობისა, სხვისთვის ზრუნვისა, სხვისთვის სიკეთის ქმნისა.

თითქო განგებამ მოუვლინა საფრანგეთს ამდენი სისხლი და ვაება, რომათას გაჭირვებათაგან უფრო გამოწრთობილიიყო ფოლადივით, ოქროსავით გამობრძმედებულიიყო, სისხლის ემბაზში ამოვლებულიიყო, რათა უფრო ღირსეულად და თავ-მოწონებით სჭეროდა დროშა პირველობისა, მეთაურობისა საკაცთ-მოყვარეო, საკაცობრიო მოღვაწეობაში.

მკითხველებს ეხსომებათ თუნდ ის გაჭირვება და ჭაპან-წყვეტა, რომელშიაც ჩავარდა საფრანგეთი ამ რამდენისამე წლის წინად ბულანჟეობისაგან. ცოტას გაწყდა, ქვეყანა არ ჩაითრია ცეზარიზმგა და დიდის ვაგლახით დაარსებული რესპუბლიკა კვლავ არ ჩაუვარდა კლანჭებში იმისთანა ავანტიურისტსა და ჩიტი-რეკია გენერალსა, როგორიც იყო აწ განსვენებული ბულანჟე. განსაცდელი იმდენად დიდი იყო, საშიშროება იმდენად ძლიერი, რომ სარესპუბლიკო წეს-წყობილება კინაღამ არ შეირყა, კინაღამ ფამფალი არ დაიწყო მისმა ბოძებმა. აი ამ დროს იჩინა თავი ფრანგების ჭეშმარიტმა მამულიშვილობამა და სამშობლოს ძლიერმა სიყვარულმა. მანამდე რამდენსამე დასად დაყოფილმა რესპუბლიკელებმა, რომელნიც ერთმანეთის დავაში იყვნენ, ერთმანეთს ექიშპებოდნენ და ებრძოდნენ სხვა-და-სხვა სახელმწიფო საქმეთა მართვისა და გამგეობის გამო, მაშინ შეერთდნენ, დაივიწყეს ყოველივე ურთიერთი უკმაყოფილება, სადავო და საერთო ბოროტებას გაუმკლავდნენ. ამ სახით შესდგა დიდი და ძლიერი უმრავლესობა ერისა და პარლამენტისა, რომელმაც ბოლო მოუღო ბულანჟეობას.

გავიდა მას უკან რამდენიმე ხანი და დღეს, როცა ქვეყანას შიში აღარაფრისა აქვს, პარლამენტში კვლავ დაიწყეს ზრუნვა იმისი, რომ დას-დასებად გავიდეთ, ცალკ-ცალკე ფრაქციებად დავეწყოთ წინანდელებრ და თითოეულმა დასმა და ფრაქციამ ვიმუშაოთ ჩვენის პროგრამისა და სურვილების თანხმადაო. დეპეშებმა მოგვიტანეს ამბავი, რომ ამ ხანად ცალკე გავიდა ფრაქცია ესრედ წოდებულის რადიკალებისა, რომელთაც დაირქვეს სახელად „ჯგუფი რესპუბლიკელ-რადიკალ-სოციალისტებისა“. ამას გარდა, ცალკე აპირობს გასვლას აგრეთვე სარესპიბლიკო დასის მემარჯვენეთა გუნდი. პირველ დასში მოჰყვებიან მემარცხენენი ფლოკეს მიმართულებისა და მემარცხენენი კლემანსოს მიმართულებისანი. ამავე დასში მოჰყვებიან სოციალისტი მიუზერერი, პეიტრალი და პელეტანი. ცხადია, რომ უმწვერვალეს მემარცხენეთ—სოციალისტ-კომუნარებს ამ დასში ადგილი არ ექმნებათ. ადგილი არ ექმნებათ მით უმეტეს ბულანჟისტებს.

კონსერვატორ-რესპუბლიკელების გაზეთი „Journal des Débats“-ი სიამოვნებით მიეგება ამ გარემოებას და ურჩია კონსერვატორ-რესპუბლიკელებს, თქვენც დაეწყვეთ წესიერ დასად რადიკალების საწინააღმდეგოდაო. ორივე დასი ერთ ნაირი მომხრეა რესპუბლიკისა და ორივეს ერთ ნაირად უნდა მოსპოს წინააღმდეგობა სარესპუბლიკო/წეს-წყობილებისა, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ ერთს უნდა ამ აზრის განხორციელება საკონსერვატორო პოლიტიკით, ხოლო მეორეს—რადიკალ ცვლილებათა შემოღებით.

სასურველი ერთი რამ არის მხოლოდ ამ ჟამად, რომ ყველა სარესპუბლიკო დასნი ავრცელებდნენ და ჰქადაგებდნენ ხალხში თავ-თავიანთ აზრებს, რომ შემდეგ არჩევანების შემწეობით შეიცვალოს პარლამენტის შედგენილობა. უამისოდ-კი ძნელია დამყარდეს სიმტკიცე სამინისტროებისა და წინადვე რიგიანად მოსაზრებული და მტკიცე პოლიტიკა.

გ.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი შერვაშიძე უკვე შეუდგა ეხლავე კალიის გაწყვეტის საქმის ზრუნვას. ამ საქმის შესახებ ამ ჟამად გახშირებული მიწერ-მოწერაა ბ-ნ გუბერნატორის კანცელარიასა და ტფილისის სამაზრო გამგეობას შორის. ბ-ნმა მაზრის უფროსმა ტფილისის მაზრისამ თ. ლევან ჯანდიერმა უკვე გაუგზავნა მოხსენება ამ საქმის შესახებ. მაზრის უფროსი სწერს, რომ დაცხა და ეხლავე უნდა ვიზრუნოთ კალიის გაწყვეტის საქმისათვისაო. მაზრის უფროსის აზრით, სულ თოთხმეტი კალიის მკვლევარი უნდა დაინიშნოს: ექვსი

## ფელეტონი

ათაბაგნი ბექა და აღბუღა

და

მათი სამართალი.

XVII

(შემდეგი. იხ. „ივერია“, 1892 წ. № 50)

აღბუღას სამართალში ნაჩვენებია ბევრ გვარი ისეთი დანაშაული, რომელსაც სამამულო და სასაქონლო ზიანი და ზარალი მოაქვს (имущественное преступленіе). მეცნიერება ამტკიცებს, რომ პირვანდელს დროს სამამულო და სასაქონლო დანაშაული განმარტებული არაა და საზოგადოდ თითოეულს ასეთს დანაშაულს საკუთარი ხასიათი და თვისება არა სძევს. ძველი სამართალი ყურადღებას მხოლოდ ზიანსა და ზარალს აქცევს და არ-კი იძიებს, სახელდობრ რა გვარმა ბოროტ-მოქმედებამ მოუტანა სხვას ზიანი და ზარალი. რასაკვირველია, იმ დროს არც ბოროტს წადილსა აქვს მნიშვნელობა. ეხლაც კავკასიონის მკვიდრნი აგრე ბჭობენ სამამულო და სასაქონლო დანაშაულზედ[321]). სხვაფრივ იყო საათაბაგოში. ჯერ ერთი, რომ აღბუღა სხვა-და-სხვა სამამულო და სასაქონლო დანაშაულს აღნიშნავს. მეორედ, მარტო ზიანსა და ზარალს არა სჯერდება და დამნაშავის წადილსაც უყურადღებოდ არა სტოვებს. ეს გარემოება ჰმოწმობს აზრის განვითარებას და მის ახალს მიმდინარეობას. მაგრამ ახალს მიმართულებას მაინც ისევ ძველი კვალი ამჩნევია. აი რად. ძველ დროს ერთი სამამულო და სასაქონლო დანაშაული მეორეს მიაგავს. ათაბაგიც ზოგჯერ ორს, სხვა-და-სხვა დანაშაულს, მაგ., ძარცვას და ზედ-დასხმას ზღვარს არ ავლებს, ერთს მეორისაგან არ აცალკევებს. ამას გარდა, აღბუღას სიტყვით, ზარალი და ზიანი მაინც უმთავრესი ზომაა, რომლითაც დანაშაული უნდა აიწონოს სამართლის სასწორზედ. თუ ერთი რომელიმე სამამულო და სასაქონლო დანაშაული უფრო მძიმეა მეორეზედ, ეს იმიტომ-რომ პირველს ზედ ემატება სხვა ბოროტება, მაგ., შეიძლება ძარცვას ზედ დაერთოს მოკვლა, დაკოდვა და ძარცვა დაამძიმოსო. კავკასიონის მკვიდრთა აწინდელი ადათიც სწორედ ასეთს ზომას ჰხმარობს[322]) და ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ათაბაგი პირვანდელ აზრის მიმდინარეობასაც სრულიად არ უარჰყოფს.

ზედ-დასხმა (вооруженное нападеніе) მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. ამ დანაშაულს უმეტესად შინაური უწესოება ჰბადავდა. შემაძრწუნებელს სურათს წარმოადგენდა იმ დროინდელი ზედ-დასხმა. ხშირად მთელი ბრბო, ეგრედ წოდებული ლაშქარი ერთად დაპარპაშობდა და თავ-ლაშქრის (начальникъ шайки) მეთაურობით უსაზღვრო უბედურებას აყენებდა ქვეყანას. ზედ-დამსხმელს ლაშქარს თავისი წყობილება ჰქონდა, თითქო მეომარი რაზმიაო. მოთავე ხომ თავ-ლაშქარი იყო. ხოლო ლაშქარს ასაბიები *) შეადგენდნენ,—„ასაბია თუ მოკვდეს... რომლისაცა ასაბია იყოს, მან უზღოს სისხლი და გერშიცა, თუ რადმე მოყვრობისათვის **) არ გაუშვასო“ (მუხ. ივ). ასაბიას წინაშე თავ-ლაშქარი იყო პასუხის-მგებელი და ასიაბად ხშირად მოყვარე მიდიოდა. ცხადია, თუ რა მჭიდრო კავშირი არსებობდა ლაშქარში და რა ძალას შეადგენდა ავაზაკებრივი ბრბო. რასაკვირველია, ასაბიად, მოყვარეს გარდა, გარეშე კაციც შეიძლებოდა, რომელსაც „ასეთი რამე არა სჭირდეს, რომ ემართლებოდესო“, ე. ი. მტრობა არ ჰქონდეს იმისი, ვინც ლაშქარმა ნიშანში ამოიღოო. ასეთს ასაბიას „დამსხმელისა მიბაძვითა სისხლი და გერში“ უნდა დაეურვა—„თუ მოკლას ანუ დაკოდოს, საპატიო საურვებელი ორად შეკეცოს“ (მუხ. იცI), დასხმის სისხლი კიდევ სხვააო. მაგრამ თავ-ლაშქარს ასაბიად უფრო მოყვარე მისდევდა და ზედ-დასხმა მოყვარეთა მტერზე გალაშქრებასაც ნიშნავდა. ეხლაც მთაში ერთ გვარი მეორეს თავს ესხმება და ლაშქრობა საგვარეულო ბრძოლაა.

აღბუღამ გადმოგვცა რამდენიმე სურათი ამ ლაშქრობისა. ათაბაგი იხსენიებს, მაგ., სახლსა ზედა დასხმას. ასეთს ზედ-დასხმას დიაცის წასაგვრელად მისდევდნენ. სამართალი ამბობს, ცოლის წაგვრას, სისხლს გარდა, „დასხმულობისა წესითა დასხმულობა დაუურვონო“ (მუხ. მI), და მაშასადამე დასხმას საგნად დიაცის მოტაცება ჰქონდა. და რომ ასე იყო, ზედ-დასხმის განმარტებისაგან სჩანს,—თუ მოკვლა არ მოხდეს, „დე-

[321]) Зак. и Об. на Кав. II. 298 и слѣд.

[322]) ibid. 262 и слѣд.

*) ასაბია—მტერზედ მიმყოლი შემწე, ს. ს. ორბელიანი.

**) მოყვარე—მზახალი, ცოლეურნი, გინა კეთილის მოქმედი, იქვე.

ყარაიაზში, ორი — ალლუჯში, ორი — სართაჭალის განყოფილებაში, ორი — ავჭალის განყოფილებაში და ორიც ტფილისის მიდამოებში. ეს მკვლევარნი ამ მარტის 15-დგან უნდა დაინიშნენ და სამს თთვეს უნდა იმსახურონ. თითოს ჯამაგირად თთვეში თხუტმეტი მანეთი ექნება. ამ საგნისათვის მაზრის უფროსი ეხლავე 630 მან. გადადებას თხოულობს. ხოლო თუ ვინიცობაა კალიამ წრეულსაც ფრთა შეისხა და სიარული შეიძლო, მაშინ ერთი ამდენი კიდევ დასჭირდება ამ საქმეს ხარჯადაო.

*** აპრილში ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია კახეთისაკენ აპირებს გამგზავრებას. სულ სამი სესსია იქნება, თელავისა, სიღნაღისა და ზაქათალისა. სასამართლოს წევრნი ორ დასად წავლენ. პირველი დასი წავა თელავს, პირველს საქმეს 14 აპრილს განიხილავს და უკანასკნელს 4 მაისს. სესსიას სულ ორმოცამდე საქმე აქვს განსახილველი, სამიოდე კაცის მკვლელობა, ქურდობა, ძნისა და სახლის დაწვა და სხვანი. მეორე დასი ტფილისის ოლქის სასამართლოსი წავა ჯერ ზაქათალისაკენ და აქ ორს დღეს დარჩება. დაიწყებს საქმეს 14-სავე აპრილს და 15 აპრილს დააბოლოვებს. სულ ექვსი საქმე აქვს განსახილველი. შემდეგ ესევე სესსია წავა სიღნაღს, აქ 20 აპრილს დაიწყებს საქმეთა განხილვას და 30 აპრილამდე იქ დარჩება.

*** ქალაქის გამგეობის ერთი საქმეთ-მწარმოებელთაგანი იყო იოსებ დავითის ძე აშხარუმოვი, რომელიც ამ სამსახურს ასრულებდა თოთხმეტის წლის განმავლობაში და გარდაიცვალა ამ წლის დასაწყისში. მას დარჩა სახლობა, რომელსაც ვერაფერი ვერ დაუტოვა საცხოვრებლად. რადგან განსვენებული პატიოსნად და ერთგულად ემსახურებოდა ნაკისრს საქმეს, ამის გამო ქალაქის მოურავმა 13 იანვარს სთხოვა საბჭოს, რომ აღმოუჩინა დახმარება და მიეცა აშხარუმოვის სახლობისათვის ოცი თუმანი დასაფლავებისათვის, ხოლო რაიცა შეეხებოდა თვით სახლობის დახმარებას, ქალაქის მოურავმა განუცხადა საბჭოს, რომ გამგეობა მოკლე ხანში წარმოადგენს თავისს მოხსენებას ამ საგნის შესახებ. საბჭომ მაშინვე ერთხმად გარდასწყვიტა ოცის თუმნის მიცემა. 16 იანვრისათვის გამგეობას შედგენილი აქვს მოხსენება იმის შესახებ, რომ ქალაქის თვით-მმართველობამ აღმოუჩინოს შემწეობა აშხარუმოვის სახლობას დ ერთ ხანად მისცეს ორმოცი თუმანი. ეჭვი არ არის, რომ იმდენის ხნის სამსახურისათვის ამ მცირე დახმარებას არ დაიშურებს ქალაქის საბჭო, რომელსაც დღემდე არა აქვს ჯერ კიდევ შემოღებული საპენსიო წესდება თავის მოხელეთათვის და ამის გამო ვერც მოუხერხებია შესაფერი შემწეობა აღმოუჩინოს მოხელის სახლობას, როდესაც უკანასკნელს დაატყდება თავს რაიმე უბედურება.

*** „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“, როგორც შევიტყეთ, სულ ერთიან გაყიდულა და ამ ზაფხულს ხელ-ახლად დაიბეჭდება ორივე გამოცემა. ამას გარდა, ბ-ნს გოგებაშვილს განუზრახავს ამ ზაფხულსავე დაჰბეჭდოს მეორე წიგნი, სასწავლებლებში სახმარებელი „დედა-ენას“ შემდეგ.

*** ტფილისის 1 კლასიკურ გიმნაზიის დირექციას განზრახვა აქვს დიდ-მარხვის უკანასკნელს კვირას 50 მოწაფე წაიყვანოს ბაქოში, საბუნჩისა, ბალახანის და სურახანის ნავთის წყაროების დასათვალიერებლად.

*** 16 მარტს შესრულდება სწორედ 300 წელიწადი ჩეხიის გამოჩენილის პედაგოგის, იან კომენსკის დაბადებისა. ტფილისის მეორე გიმნაზია და ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტი ამ დღეს კვირას, 15 მარტს, იდღესასწაულებს და მეორე გიმნაზიის დარბაზში გაჰმართავს სალიტერატურო-სამუსიკო დილას. დასაწყისი 1 საათზეა. ამ დღესასწაულისათვის გიმნაზიის დირექტორს ი. თ. დრბოგლავს ტფილისის ერთს ლიტოგრაფიაში კომენსკის დიდი სურათი დაუბეჭდვინებია.

*** ამ ჟამად ტფილისში პური დაძვირდა: ის პური, რომელიც 90 კ. იყიდებოდა ფუთი, ეხლა 1 მ. 30 კ. და 1 მ. 40 კ. იყიდება. შეშასაც შესამჩნევად მოემატა ფასი: პატარა ურემი შეშა 5—6 მანათამდე ჰფასობს. უეჭველია, ეს სიძვირე გამუდმებულის წვიმების ბრალია, რის გამოც სოფლებიდგან აქამდე პური და შეშა ნაკლებად ჩამოჰქონდათ ტფილისში.

*** ბოტანიკის ქუჩაზედ სახლი აქვს ერთს მცხოვრებელს ტფილისისას ბ-ნს უმისას, რომელმაც მიჰმართა ქალაქის გამგეობას შემდეგის თხოვნით: ჩვენს ქუჩაზედ სახლები კლდე-კლდეა ნაშენი, ერთი სახლი მეორეს დაჰყურებს თავზედ და ყოველ წუთს შიშში ვართ, რომ ან რომელიმე სახლი არ წამოწვეს და არ მოიტანოს ქვეშ ხვა სახლები და ან ციხის კედელი არ გადმოინგრეს და ხალხი არ მოიტანოს ქვეშაო, და მიიღეთ შესაფერი ღონისძიებანი, რომ ამისთანა რამ უბედურება არ დატრიალდესო. გამგეობამ განიხილა ეს თხოვნა ბ-ნ უმისასი და დაადგინა, რომ რადგან ქალაქს იმ ადგილებში არც საკუთარი მიწები აქვს, არც თავისი შენობები და ციხის კედელიც სახელმწიფოა, ამიტომ სათხოვრის აღსრულება ჩვენ არ შეგვიძლიანო. ბ-ნმა უმისმა უნდა მიმჰართოს თვით სახლის პატრონებს და ხაზინას, რომ მათ იღონონ შესაფერი ღონე და უბედურებას ააცდინონ ხალხიო. ამასთანავე საშიში მდგომარეობა ბოტანიკის ქუჩისა შეატყობინა ბ-ნს პოლიცმეისტერს და სთხოვა, რომ პოლიციამ გააფრთხილოს ხალხიო.

*** გურია: გურიის საზღვარზე, სოფ. ქაქუთში, სადაც ქართველი მაჰმადიანებიც სცხოვრობენ, ერთს გურულს სკოლის გამართვა მოუნდომნია სოფელში მოსულა კიდეც და ბავშვებისთვის სწავლა დაუწყებინებია, მაგრამ შეუძლებლობის გამო საქმე შებრკოლებულა. სწავლა ამ კაცს იმ პატარა ლექსების წიგნით დაუწყია, რომელიც შარშან დაიბეჭდა ტფილისში. ლექსებს აღტაცებაში მოუყვანია მაჰმადიანი ხალხი. ასევე მიჰგებებიან მათთვის დაბეჭდილს ლოცვებსაც.

*** წინწყარო: უცნაური ამბავი მოხდა ჩვენს სოფელში. ამ მარტის თთვის დასაწყისს ძაღლები წაიჩხუბნენ. წაძიძგილავებულ ძაღლების გასაშველებლად გამოცვივდნენ აქაურნი მცხოვრებელნი გიორგი ყარაშ-ოღლი და ანასტასე თუმან-ოღლი. ძაღლების შველების დროს ამათაც ჩხუბი მოუვიდათ, ყარაშ-ოღლიმ ხანჯალი იძრო და თუმან-ოღლი თავსა და ხელში დასჭრა. ძაღლის გამო დაჭრილს თუმან-ოღლის იქავე გული წაუვიდა. ეს საქმე ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსს ბრალმდებელს უკვე მოხსენდა.

*** თელავი: თელავის მაზრაში წარსულს თთვეს ორი ამბავი მოხდა: 26 თებერვალს სოფ. ურიათუბანში დაიწვა აღალო არუთინოვის არყის ქარხანა დ ზარალი 50 თუმნამდე მოუვიდა. მეორე ამბავი თვით თელავში მოხდა 23 თებერვალს ვაჭარს არტემ მარქაროვს დუქანი გაუტეხეს და 538 მ. და 70 კ. საქონელი და ფული წაიღეს. დამნაშავენი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

*** საგარეჯო: საგარეჯოდგან სწერენ გაზეთ „Нов. Обоз.“-ს: ჩვენს სოფელში 1891 წლის 1 ენკენისთვიდგან დაწესდა სამკურნალო სადგური, მაგრამ აქამდე საგარეჯოელებს მხოლოდ ერთად-ერთი ფერშალი გვყავს. სამკურნალო სადგურისათვის სოფელმა დიდი ხანია შენობა დაამზადა, მაგრამ აქამდე-კი დაკეტილია. ბ-ნი მკურნალი ერთი კვირით მოვიდა საგარეჯოში, სადგური დაიჭირა და ისევ სადღაც წავიდა. სოფელში-კი ინფლუენცა მძვინვარებს, რომელმაც ბევრი ხალხი იმსხვერპლა და შველა-კი არსაიდგან არის. ამას გარდა, ამბობენ, რომ მკურნალმა შემდეგი ნიხრი დააწესაო ავადმყოფებისათვის: „ვინც ჩემთან სახლში მოვა, მე იმას 1 მანათს გამოვართმევო; თუ ავადმყოფის სახლში მიმიწვიეს — 2 მანათს, და თუ სხვა სოფელში წამიყვანეს ავადმყოფთან, 3 მანეთზე ნაკლებს არ დავჯერდებიო“.

*** ამ დღეებში ბაქოს სიახლოვეს, შემახიის გზაზედ, ახალგაზდა, 18 წლის, ლამაზის ქალის გვამი უპოვნიათ. როგორც აღმოჩნდა, ხანჯალი შიგ გულში დაურტყავთ ქალისათვის. ქალის გვამი ნათესავებმა იცნეს. პოლიციამ ოქმი შეადგინა, რომელიც გამომძიებელს გადასცეს და გვამი-კი დაასაფლავეს. რამდენისამე ხნის შემდეგ გამომძიებელთან ერთი ქალი მივიდა და გამოუცხადა, მე ცოცხალი ვარ და ტყუილად ნუ იწუხებთ თავს ჩემის მკვლელობის საქმის გამოძიებითაო. აღმოჩნდა, რომ მოკლული ქალი ისე ძლიერ ჰგავდა ამ ქალსა, რომ ნათესავები მოტყუვდნენ და ეგონათ, ჩვენი ნათესავია მოკლულიო („Н. О.“).

*** ქალაქის საბჭოს შემდეგს კრებაზედ მოხსენებული იქნება ტფილისის საგუბერნიო საკრებულოს გარდაწყვეტილება ბაზრის ზედამხედველის ნ. ალიხანოვის საქმისა, რომელმაც ხელით შეურაცხება მიაყენა კოლეჟსკი სეკრეტარს ზავრიევს. ბ-ნ ზავრიევის საჩივარი ქალაქის საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა და ალიხანოვი განათავისუფლა პასუხის-გებისაგან. საგუბერნიო საკრებულომ-კი დამნაშავედ იცნო ნ. ალიხანოვი და გადასწყვიტა, რომ სასჯელთა დებულების 397 მუხლის ძალით ნ. ალიხანოვი სამართალში უნდა იყოს მიცემულიო.

*** ქალაქის განაპირას, ავურხანების ქუჩას იქით, გარდაცვალებულს გენერალს არწრუნის 30 დესიატინამდე ადგილი ჰქონდა. ამ 20 წლის წინად არწრუნიმ ეს ადგილი ნაწილ-ნაწილად დაჰყო და სახლის აშენების მსურველთ გასცა იჯარით, იმ პირობით, რომ სახლის პატრონს წელიწადში 25 კ. ეძლია არწრუნისათვის. ამ ადგილებზედ 62 ღარიბმა ოჯახმა ააშენა სახლი. ვიდრე არწრუნი ცოცხალი იყო, სახლის პატრონები მოსვე-

---

და-წულთა აფარვისათვის და შერცხვენისათვის საპატიოს კაცისა სისხლის ნახევარი დაუურვოს“ ზედ-დამსხმელმაო. ამას გარდა, თავისეური სასჯელიც ჰქოწმობს, რომ საათაბაგოში სახლზე ზედ-დასხმას დიაცის წასაგვრელად მისდევდნენ. სახლის პატრონი შეიძლება „კაცთა მეუა შემოსვლითა“ ზედ-დამსხმელს კოტას დასჯერდეს, საპატიო კაცის სისხლის ნახევარზე ნაკლები გამოართვას დამნაშავეს — „არც არა საკვირველი ესეაო“, მაგრამ თუ ნაწყენმა სისხლი არ ინდომა, მაშინ დამნაშავე „ნიფხვითა ოდენ გაშიშვლებულად ზოლოთა (სანეხვე) შეიდგას ბიჯთა ჩაათრიონ და მის კაცისა ყებრემან სამი შოლტი ამოჰკრას... საჩინოდ ერისა უნდა ესეო“ (მუხ. იდ). ამ დიდად სამარცხვინო სასჯელს „ჩათრევა“ ეწოდებოდა და შესაფერი იყო დიაცის წაგვრისა, „დედა-წულთა აფარვისა და შერცხვენისა“. სხვაგანაც სამარცხვინო სასჯელს ჰხმარობდნენ ასეთის დანაშაულისთვის. საათაბაგოშიაც რომ სწორედ ასე იყო, ამას „შვილის მოწყვეტა“ აასბუთებს — „თუ ზედა-დასხმასა შიგან დედაკაცსა შვილი მოსწყდეს“, გვარსა ზედა სრული სისხლი დაუურვონო (მუხ. იე). საყურადღებოა, რომ ეხლაც მთაში სახლსა ზედა დასხმა უფრო დიაცის წასაგვრელად იციან, თუმცა „ჩათრევას“ და გაშოლტვას-კი აღარ ჰხმარობენ.

სხვა დანაშაულია აგრეთ წოდებული საჯდომისა სიახლოვესა გლეხისა ზედა დასხმა. ყველა ბატონს თავისი საჯდომი ჰქონდა და საჯდომის ახლოს გლეხები ესახლა. თუ გლეხები ისეთს სიახლოვეზე ესახლნენ, რომ ბატონს „ხმა მისწვდებოდეს“, გლეხის დარბევა ზედ-დასხმას შეადგენდა და დამნაშავეს სისხლი ამ დანაშაულის კვალობაზედ უნდა დაეურვა, მით უფრო, რომ „საჯდომისა სიახლოვესა მისისა გლეხისასა“ ზედ-დამსხმელი ჰლამობდა ალაფი *) წაეღო და ბატონისათვის ზარალი მიეცა (მუხ. ლთ). საზოგადოდ ყოველ გვარი ზედ-დასხმა დიდ ბოროტებად სწამდათ და იგი ბოროტება ეხლაც მძიმე დანაშაულად მიაჩნიათ

*) ალაფი — საფენელი და ჰუჭელი ნატყვენავი, ს. ს. ორბელიანი. აღბუღას სამართალში ალაფს უფრო ვრცელი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში[323]). იმ დროსაც, როგორც ეხლაა, თავ-ლაშქრისა და მისის ლაშქრის სილაღესა და თავ-გასულობას თითქო საზღვარი არ ჰქონია. თავ-ლაშქარი ჰლახავდა ყოველ გვარ დაბრკოლებას, „ზღუდესა შიგნით“ ეჭრებოდა თავისს მსხვერპლს და „ზღუდეს გარეთ“ ხომ მოსვენებას არასოდეს არ აძლევდა. აღბუღა ასეთს ზედ-დასხმას კერძოდ ზღუდესა შიგნით ჩასდომას და ზღუდეს გარეთ მორბევას უწოდებს და თითოეულს მათგანს საკუთარს სისხლს უჩენს (მუხ. რია, რიბ).

სასაფლაოსა ზედა დასხმაც განსხვავებული დანაშაულია. ძველად ევროპაში ეს დანაშაული დიდ ბოროტებად მიაჩნდათ. ცხადია, თუ რად: სასაფლაო წინაპართა სავანე და სალოცავია, იგი წმიდათა წმიდაა. წინაპართა თაყვანის-ცემა (культъ предковъ) ამ სალმრთო ადგილას ჰლაღდებს, მსხვერპლიც აქ იწირვის. აქაა მიზეზი, რომ ინგლისელ-საქსონელები სასტიკად სჯიდნენ, ვინც სასაფლაოსზედ-დაესხმოდა, — დამნაშავე საუკუნოდ უნდა განიძოს, მამული ჩამოერთვას და ყოვლად უშჯერო შეიქმნესო. ფრანგები უსაზღვრო შურისძიებას უქადდნენ სასაფლაოს შემლახველს. იმათი სამართალი ამბობდა, ისეთის დამნაშავის მოკვლის ნება ყველას მინიჭებული აქვსო[324]). საათაბაგოს სამართალიც ჯეროვანის პატივით ეპყრობოდა წინაპართა საქაო სადგურსა და აღბუღამ დიდი სასჯელი გაუჩინა სასაფლაოს ზედ-დამსხმელს.. ეს ზედ-დასხმა ორ გვარიაო: პირველი და უფრო მძიმე ისაა, როცა ვინმე საფლავს გასთხრის, მკვდარს გაძარცვავს და ალაფს წაიღებსო. დამნაშავემ პატრონს „ორთა უთავადესთა“ სისხლი უნდა დაუურვოს, ე. ი. ორის საუკეთესო მკვდრისა, „რომელიცა მის სახლსა შიგ საჭირისუფლოდ სდებოდეს“ და ალაფიც დაუბრუნოსო. ხოლო თუ დამნაშავეს „საფლაოს ხელი არ მიეყოს“, მაშინ ერთის „უთავადესის“ სისხლი გარდახდესო. ხელის მიყოფას და არა მიყოფას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უკეთური და მაცდური მარჯვენა აორკეცებდა დანაშაულს. სხვაგანაც ასე ყოფილა და კერძოდ გერმანელები უფრო მეტს სასჯელს სდებდნენ სასაფლაოს ხელის მიმყოფსა. რასაკვირველია, ზედ-დასხმის დროს დამნაშავეს შეეძლო „სასაფლაოსა ეკკლესიასა შეურაცხებით მიჰყოს ხელი ანუ წარმართულად კარითა შელეწითა, ანუ სხვაგნით რითმე შერღვევითა“. მაშინ საერო სამართალს მსჯავრის დადება არ ეკითხოდა, დამნაშავე „მეცნიერთა და ქრისტეს სისხლის მცნებულთა“ განსაჯონო (მუხ. კვ.). საკუთრივ მოხსენებულია ეკკლესიასა ზედა დასხმა: საუპატიოდ ხუთი ათასი თეთრი გარდახდეს ზედ-დამსხმელსაო (მუხ. რივ). როგორც სხვა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისე საათაბაგოშიაც ქარავანი იცოდნენ. უეჭველია, თავ-ლაშქარი ქარავანსაც დაესხმოდა ხოლმე. აღბუღამ ასეთი ბოროტება განსაკუთრებულ დანაშაულად სცნო და უწოდა ქარავანსა ქურდად თავსა ზედა დასხმა. ალაფის შოვნა ჰსურდა ლაშქარს, როცა ქარავანს თავს ესხმოდა, და ათაბაგიც ამბობს, დამნაშავემ წაღები და წახდომილი უზღოს პატრონსაო (მუხ. ჲვ). რასაკვირველია, სისხლის დაურვება კიდევ სხვიყო.

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

[323]) ეხლაც მთაში და კერძოდ სვანეთში სახლში ჩახდომა დიდი დანაშაულია, Зак. и Об. на Кав., 11, 33, 38.

[234]) Совр. Об. и Др. Зак. II. 34, 130—2.

ნებით სცხოვრობდნენ და საჟენზედ მხოლოდ 25 კ. იჯარას იხდიდნენ, მაგრამ ბ-ნი არწრუნი გარდაიცვალა და მემკვიდრეებმა იმის მამული ვილაც ვაჰაიანცს მიჰყიდეს. ვაჰაიანცი ჯერ ძლიერ აწუხებდა მოსახლეებს, ეხლა-კი სასამართლოში საჩივარი შეიტანა და ითხოვს, თქვენი შენობები დაჰქციეთ და ადგილი დამიცალეთო.

ერთი ამ გვარი საჩივარი ვაჰაიანცისა 11 მარტს პირველ განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია. სასამართლოში დაბარებული იყო 10 მოსახლე, რომლებმაც მოსამართლეს გამოუცხადეს, რომ ვაჰაიანცი საჟენზე სამს მანათს იჯარასა გვთხოვს. ამ ფულის მიცემა არ შეგვიძლიან და გთხოვთ, გვიშველოთ რამეო. მოსამართლემ საჭიროდ დაინახა ვაჰაიანცი სასამართლოში მიიწვიოს და როგორმე მოარიგოს საცოდავ, გაჭირვებულ მოსახლეებთან. („Т. Л.")

*** უფასოდ: შორაპნის მაზრის უფროსს ქუთაისიდგან „პოზნანსკისა და ამხ." ფირმისაგან 300 ფუთი ბამბის თესლი მიუღია ადგილობრივ მცხოვრებთა შორის უსასყიდლოდ დასარიგებლად. („Н. О.")

*** 12 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზედ, პოლიციის მოხელემ ბაბალოვმა შეიპყრო სარქის სოლომონის ძე სარქისოვი, რომელსაც სამი სადოსტაქრო დანა მოეპარა და ჰყიდდა. დამნაშავემ სთქვა: კავკასიის სავაჭრო ამხანაგობის აფთიაქში ვმსახურებდი შეგირდად, წინადაც ვიპარავდი სხვა-და-სხვა ნივთეულობასა და ვყიდდიო.

## მთავრობის განკარგულებანი

გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული ნადირობის წესი, რომელიც ამიერკავკასიასაც შეეხება და 1892 წ. 1 მარტიდგან იქნება შემოღებული.

1) სხვის მამულში ნადირობა აღკრძალულია. დამნაშავეთ ამ მუხლისა ჯარიმა გადახდებათ 5—25 მანათამდე. ჯარიმა 50 მანათამდე გადახდებათ იმათ, ვინც სხვის შემოღობილს მამულში, ან ჯერ მოუმკელს და გაუთიბავს სხვის სახნავ-სათესს ადგილებში ინადირებს.

2) იგივე ჯარიმა გადახდება იმათ, ვინც სხვის მამულიდგან ნადირსა და ფრინველს განდევნის, რა ღონისძიებითაც უნდა იყოს.

3) ვინც უმოწმობოდ ინადირებს, ან ფრინვლის ბუდეს გააფუჭებს, ან ბარტყებსა და კვერცხებს ამოიღებს ბუდიდგან, 5—25 მანათამდე ჯარიმა გადახდებათ.

4) სხვის მოწმობით, ან იმ ნადირზედ ნადირობისთვის, რომლის მოწმობაც არა აქვს მონადირეს; 5—25 მანათამდე ჯარიმა გადახდებათ და სანადირო იარაღიც წაერთმევათ.

5) ვისაც ნადირობის მოწმობა ექნება, მაგრამ ნადირობის დროს დარაჯებს არ წარუდგენს ამ მოწმობას, 5 მანეთამდე ჯარიმა გადახდება.

6) ფურ-ირემსა, ან დედალს შველსა და ამათ ნუკრებზედ ნადირობისათვის დამნაშავეთ შემდეგი ჯარიმა გადახდებათ: 50 მანათი თითო მოკლულ ფურ-ირემზედ, 25 მანათი—თითო მოკლულ დედალ შველზედ და ამდენივე თითო მოკლულ ირმისა და შველის ნუკრზედ.

7) ნადირობისათვის აკრძალულ დროს ნადირის დამტარებელთ, გამყიდველთ და მყიდველთ ჯარიმა გადახდებათ: სხვილ ნადირზე თითო ცალისათვის 25 მანათი და წვრილისათვის—თითო მანათი.

8) ვისაც მეორედ დაბრალდება 1—7 მუხლში აღნიშნული დანაშაულობა, ჯარიმა ერთი-ორად გადახდება.

9) ნადირობაში დამნაშავედ იქნება ცნობილი ყველა ის, ვისაც თოფით ან სხვა სანადირო იარაღით მოასწრობენ დარაჯები აღკრძალულს ადგილას.

10) ჯარიმებისა და წართმეულ სანადირო იარაღის გაყიდვით შემდგარი ფული შინაგან სამინისტროს გადაეცემა, რომელიც ამ ფულს დარაჯებისა და მცველების ჯამაგირს მოახმარებს.

(შემდეგი იქნება)

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**თელავი.** მოვიდა გაზაფხული, როდესაც ჩვენ, კახელები, უნდა შევუდგეთ ვაზის წამლობას. უნდა სწორედ მოგახსენოთ, რომ ბ-ნმა ინანიშვილმა თავის ლექციების კითხვითა და ქადაგებით „ობისა" და „ნაცრის" წამლობის შესახებ, ბოლოს და ბოლოს დაარწმუნა მდაბიო ხალხი, ვენახის მეპატრონენი, რომ წამლობა ვაზს იცავს სხვა-და-სხვა სენისაგან. წარსულის წლის ღვინის უხვმა მოსავალმა ადვილად დაანახვა გლეხკაცებს, თუ რამდენად სასარგებლოა წამლობა ვაზისა და ეხლა, ამ გაზაფხულზედ, თითქმის ყველანი მოწადინებულნი არიან უწამლონ თავიანთ ვენახებს, თუ შესძლეს საწამლო ხარჯის გაწევა, რადგანაც, აქეთ მხარეს, საწყობი ვაზის საწამლებელ მანქანებისა და წამლებისა არა არსებობს. შარშან-წინ-კი, როდესაც ისეთ რიგად არ იყო მევენახეთა შორის გავრცელებული ვაზის წამლობა, მოიპოვებოდა ამ გვარი საწყობი, გამართული სათავად-აზნაურო ბანკის მიერ თავისის ხარჯითვე, საიდგანაც გლეხებს მიჰქონდათ მანქანა და წამლები იაფად. წარსულ წელს ზემოხსენებულ ბანკს არა ჰქონია საწყობი და კერძო ვაჭრები ჰყიდდნენ წამალს ძვირად: შაბიამანს 7 მან. და 50 კაპეიკიდამ—8 მანათამდე ფუთს (ადგილას ღირს 4 მან. 50 კ.) და სასხურებელ გუდას (ვერმორელისას) ორ-ორ აბაზად აქირავებდნენ დღეში. ამ ფულის გადახდა გლეხს ძალიან უძნელდებოდა. ამიტომ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ წელს ყველა მემამულენი აპირობენ ვაზის წამლობას, უნდა შევაძლებინოთ კიდეც ასეთი საქმე. დიდად დაავალებდა კახეთს კავკასიის საფილოქსერო კომიტეტი, რომ გამართავდეს აქეთ მხარეს ორს ან სამს საწყობს, სადაც იქონიებდნენ ყველა საჭირო იარაღსა და წამლებს ვაზისათვის. მაშინ არც ისე ძვირად დაუჯდებოდა გლეხს წამლობა და არც ისე ძნელი იქნებოდა იარაღის შოვნა, როგორც შარშან, რადგანაც საწყობში უფრო იაფად გაიყიდებოდა წამლები და გაქირავდებოდა სასხურებელი გუდა.

ამასთანავე კარგი იქნებოდა, ბ-ნ ინანიშვილის დასი, რომელსაც მთელის კახეთის მხარე აბარია, ადრე შეუდგებოდეს მუშაობას. წარსულ წლებში ხსენებული დასი ოც აპრილსა და პირველს მაისზედ ადრე არ იწყობდა ხოლმე ვაზის წამლობას, მაგრამ საჭიროა, რომ პირველ აპრილიდამვე მიჰყოს ხელი, რადგანაც სიღნაღის მხარესა და ალაზანს გაღმა ვაზი ძალიან ადრე იფოთლება.

დასასრულ, მოგახსენებთ კიდევ ერთის აუცილებელ საჭიროების შესახებაც. შარშან ბ-ნმა ინანიშვილმა ქუთაისიდგან დაიბარა 15 კაცი ფილოქსერის გამომკვლევნი (лупщики), რომელნიც მოვიდნენ კიდეც და დაიწყეს ძებნა ფილოქსერისა თელავის ზოგიერთ ახლო-მახლო სოფლებში. ბ-ნმა ინანიშვილმა დაინახა, რომ 15 კაცი საკმაო არ იყო ფილოქსერის საძებნელად და ამის გამო დაიბარა კიდევ 20 კაცი, მაგრამ უარი მოუვიდა, რადგანაც ფილოქსერის მძებნელი არც იქ, ქუთაისში ჰყოფნოდათ, სადაც ძალზედ გავრცელებულია ფილოქსერა. ოდესმე ჩვენც არ აგვცდება ეს საშინელი სენი, თუ რაიმე საშუელება არ ვიხმარეთ, და ამისათვის დიდი სასარგებლო და მანუგეშებელი იქმნებოდა კახეთისათვის, რომ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის განკარგულებით გაიგზავნებოდეს კახეთიდამ რამდენიმე ახალგაზდა კაცი ქუთაისში, სადაც საფუძვლიანად შეისწავლიან ფილოქსერის გამოკვლევასა და იმის გაჩენის ნიშნებს. შემდეგ ესენი დაინიშნენ კახეთის სხვა-და-სხვა სოფელში, რათა თვალ-ყური ადევნონ ვენახებს, რომ ფილოქსერის გაჩენისათანავე ბოლო მოუღონ და აგრეთვე შეასწავლონ ამ ახალგაზდებმა თვით მკვიდრთ, მევენახეთ ყოველი საჭირო ხერხი. შეიძლება ამით მაინც ავიცილოთ ოდესმე აუცილებელი საშინელი მტერი ვაზისა. შარშან ბ-ნ ინანიშვილის საფილოქსერო დასი მუშაობდა ზოგიერთს სოფელში ფილოქსერის აღმოსაჩენად, რადგანაც ეჭვი ჰქონდათ აღებული, მაგრამ ჯერჯერობით, ღვთის მადლით, დაბეჯითებით არა ისმის-რა... ერთის სიტყვით, დიდი სიფრთხილე გვინდა და ღირსეული ყურადღებაც უნდა მიექცეს ამ კეთილს საქმეს, თორემ იმ მძინვარე მტერს ქუთაისიდგან კახეთში არ გაუჭირდება გადმოსვლა და კახელებისათვის ერთად-ერთს სარჩოვრებელს სახსარს სამუდამოდ დაამხობს ძირს.

ლ. ხ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გუშინ ჩვენს გაზეთში რამდენიმე სიტყვა გვქონდა მოხსენებული სომეხთა დელეგატების არჩევანების შესახებ. ჩვენ ვსთქვით სხვათა შორის, რომ საზოგადოების პატიოსანს მოღვაწეს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ არჩევანი მხოლოდ საზოგადოების აზრისა და სურვილის გამომხატავი უნდა იყოს და არა კერძო კაცის სურვილის ამსრულებელიო. ვნახოთ ახლა, როგორ აასრულეს ეს მოვალეობა არჩევანების დროს სომეხთა სხვა-და-სხვა დასის მეთაურებმა. როგორც მოგეხსენებათ, ტფილისის ეპარქიის წარმომადგენელის კანდიდატად პირველად „მშაკის" რედაქტორმა დაასახელა თავისი თავი. ამასთანავე ბ-ნმა არწრუნიმ იმ კანდიდატთა სახელებიც გამოაცხადა, რომელთაც მე ჩემის მხრით თეთრს კენჭს მივცემ, თუ ეჩმიაძინში გამგზავნითო. ამასთანავე არწრუნის დასმა თავისს კანდიდატები წარუდგინა ამოსარჩევად ტფილისის სხვა-და-სხვა ეკკლესიების მრევლს. ცოტა ხნის შემდეგ „არძაგანკის" რედაქტორმა ბ-ნმა იოანესიანმაც გამოაცხადა თავისი კანდიდატობა და მას უკან „ნორ-დარის" რედაქტორმა ბ-ნმა სპანდარიანცმა. იოანესიანისა და სპანდარიანის დასნი, როგორც უფრო სუსტნი, ერთმანეთს შეუერთდნენ და საარჩევანო ბრძოლა ისე გამწვავდა, რომ მებრძოლელთა დასები თავის გულის წადილის აღსრულებას უფრო მეტს ყურადღებას აქცევდნენ, ვიდრე საზოგადოების სურვილს. ამ მიზეზის გამო შემდეგი ამბავი მოხდა: „ეჩმიაძინეცოც"-ის ეკკლესიის მრევლის პირველ არჩევანის დროს 120 ამომრჩეველი დაესწრო, რომელთაც არწრუნის მომხრენი ამოირჩიეს. ეს არჩევანი გაუქმდა და მეორე არჩევანის დროს, რომელზედაც მხოლოდ 20 ამომრჩეველი იყო, იოანესიანის მომხრენი იქმნენ არჩეულნი. რომელი არჩევანი უნდა ჩაითვალოს კანონიერად და საზოგადოების სურვილის გამომხატველად, პირველი თუ მეორე?

გაზეთი „Кавказъ"-ი საბუთიანად ამბობს:

ეხლა იმ მრევლის პირველად არჩეულ წარმომადგენელთ სრული უფლება აქვთ უსაყვედუროთ მოწინააღმდეგე დასის წარმომადგენელს: „თქვენ ამომრჩეველთა უმცირესობამ ამოგირჩიათ და ამიტომ მრევლის ნამდვილ წარმომადგენლად არ ჩაითვლებითო". მაგრამ ამათაც იგივე უფლება აქვთ უთხრან არწრუნის მომხრეებს: თქვენ უმეტესობის იმედი არა გქონდათ და ამიტომ მეორე არჩევანზედ არ დაესწარითო.

ასეთივე ამბავი მოხდა 8 მარტის არჩევანზედაც. ბ-ნი ა. ა. იოანესიანი 46 ხმის უმეტესობით იქმნა ამორჩეული. არჩევანებზედ რომ სამი ან ოთხი კანდიდატი ყოფილიყო, ბ-ნ იოანესიანის არჩევის სამართლიანობის წინააღმდეგ ვერავინ ვერას იტყოდა, მაგრამ არჩევანებზე მხოლოდ ორი კანდიდატი იყო: ბ-ნი იოანესიანი და არწრუნი. ამიტომ ეხლა ყველას შეუძლიან ასე სთქვას: „იოანესიანს 46 თეთრი კენჭი ამოუვიდა და 4 შავი. ამ 4 შავს კენჭს მიუმატეთ ის 44 ამომრჩეველთა შავი კენჭი, რომლებიც არწრუნის მომხრენი იყვნენ, კენჭის ყრაზედ უარი განაცხადეს და არწრუნთან ერთად გავიდნენ არჩევანის დარბაზიდგან, მიუმატეთ კიდევ 2 შავი კენჭი, რადგანაც ორმა ამომრჩეველმა წერილით განაცხადა, არწრუნისთვის თეთრი კენჭი მიგვიცია და იოანესიანისთვის შავიო, და გამოვა, რომ იოანესიანს 44 თეთრი კენჭი ამოსვლია და 50 შავი. მაშასადამე იოანესიანის არჩევა უკანონოა და ნამდვილ დეპუტატად ისევ გ. ი. არწრუნი უნდა ჩაითვალოს, რადგანაც უმეტესობას იმის არჩევა სურდაო.

მაშასადამე, იონესიანის ამორჩევა თუმცა შესაძლოა ფორმალურად კანონიერი იყოს, მაგრამ საზოგადო სურვილის გამომხატველი-კი არ არის. ეხლა ბ-ნ არწრუნის მდგომარეობას მივაქციოთ ყურადღება. წარმოვიდგინოთ, რომ ეჩმიაძინის სინოდმა პირველი არჩევანი უკანონოდ სცნო, გააუქმა და მეორე არჩევანზედ ბ-ნი არწრუნი იქმნა ამორჩეული.

განა მაშინ-კი ადამიანს ეჭვი არ შეეპარება, ბ-ნ არწრუნის მეორედ არჩევის სამართლიანობაზედ? ან ისეთივე მნიშვნელობა ექნება ტფილისის სომეხთა ეპარქიის ამ დავიდარაბით ამორჩეულს წარმომადგენელს კათალიკოსის არჩევის დროს, როგორიც იმ შემთხვევაში ექნებოდა, რომ იმის ამორჩევა სრულიად სამართლიანად, უვაი-ვაგლახოდ მომხდარიყო?

ეს სამწუხარო შედეგი ორსავე დასს შეეძლო აეცილებინაო, ამბობს იგივე გაზეთი, რომ საზოგადოების სურვილისა და სიკეთისათვის უფრო მეტი ყურადღება მიექციათ, ვიდრე საკუთარის მეთაურის გამარჯვებისათვის და არც ერთი და არც მეორე არ აჰყოლოდნენ კამათობას, შუღლსა და ათას ნაირს ხრიკსაო.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ამ უკანასკნელ სამინისტრო კრიზისამდე საფრანგეთის რესპუბლიკა დიდის ნდობით ეკიდებოდა თავისს პრეზიდენტს და არავითარიმე იმ გვარი ბრალი არ დაუდვია, ვითომ კარნო თავისს უფლებას გადასცილებოდეს და ისე გაეკეთებინოს საპოლიტიკო რამ საქმე. პირ-იქით, ყველა იმას ამბობდა, კარნომ ძლიერ გარკვევით იცის თავისი მოვალეობა და უფლება და კანონით აღნიშნულის გზიდგან იოტის ოდენადაც არ გადაუხვევიაო. ამის გამო მონარქიის მომხრენი უსიცოცხლობასაც-კი სწამებდნენ კარნოსა და ხის ტიკინად ჰხატავდნენ სახუმარო და საოხუჯო გაზეთებში.

მაგრამ როცა კარნომ კაბინეტის შედგენა მიანდო თავისს მეგობარს სენატორს ლუბეს და კონსტანი კაბინეტს გარედ დარჩა, ზემოხსენებული გარემოება ერთიანად შეიცვალა. რადიკალთა და სხვათა გაზეთებს ეწყინათ ეს ამბავი და მაშინვე კარნოს წინააღმდეგ დაიწყეს გალაშქრება. კარნოს პირდაპირ ის ბრალი დასდეს, შენ ეს სამინისტრო კრიზისი შენთვის გამოიყენე და რომელი მინისტრებიც გეჯავრებოდა, ისინი ყველანი კაბინეტს გარეშე დასტოვეო.

პირველად ასეთი საყვედური სრულიად უსაფუძვლო საყვედური იყო, რადგან ვერც ერთს არა-კანონიერს საქციელს ვერ ასახელებდნენ კარნოსას. მაგრამ აი, გაზეთმა „Figaro"-მ ვითომდა საქებრად წერილი დაბეჭდა იმის შესახებ, რომ პაპთან დაახლოვების საქმე კარნომ თავისით დაიწყოო. დაიხვიეს ეს ამბავი ხელზედ კარნოს მოწინააღმდეგებმა და ათას გვარად გაჰკილეს და გაჰკიცხეს. „Figaro"-ს წერილი ძლიერ ოსტატური წერილი იყო—კარნო სარწმუნოებისა გამო-კი არ დაუახლოვდა პაპს, არამედ საპოლიტიკო მოსაზრებითაო.

ვინც ჩაუკვირდება ამ წერილს, ადვილად დაინახავს, რა გესლიც იმალება კარნოს წინააღმდეგაცა და პაპისაც. წერილს ის აზრი ჰქონდა, ვითომ არამც თუ შესაძლებელია, რომ პაპი საფრანგეთის საქმეებში ჩაერიოსო, არამედ კიდეცა სცდილობს ამასაო. კარნოსაც ის ბრალი ედებოდა, რომ, ჯერ ერთი, რესპუბლიკის დაუკითხავად თითონ იწყებს საპოლიტიკო საქმესა და, მეორეც, რა საკადრისია, რომ სარწმუნოებას სრულიად მოკლებული კაცი პაპს უმეგობრდებაო.

ყოველივე ეს, როგორც ზემოდაც ვსთქვით, ძლიერ ოსტატურად იყო შეთხზულ-მოხერხებული და შეიძლებოდა თავისის საწადლისათვისაც მიეღწია, მაგრამ აჩქარდნენ რადიკალები და კონსტანის მომხრენი და ამითი თავიანთი თავი თითონვე გასცეს. რადგან ამათ მეტის მეტად გააზვიადეს საქმე, საზოგადოება მაშინვე მიუხვდა სიყალბეს. ყველამ ადვილად შეიგნო, რა აზრითაც იყო დაწერილი „Figaro"-ში დაბეჭდილი წერილი. საზოგადოებამ

მალე დაიმშვიდა გული და კარნოს მოწინააღმდეგენი დამარცხებულნი დარჩნენ.

## წვრილი ამბავი

ვენის ექიმთა უკანასკნელს კრებაზედ პროფესორს ბენედიქტეს მიუყვანია ერთი ორმოცის წლის, მაღ-ღონით სავსე და მაგარის აგებულების კაცი, რომელსაც უცნაური სენი სჭირდა თურმე. ეს სენი ის იყო, რომ ზნედა ემართებოდა, ზნედა სახის მარჯვენა მხრის მანჭვით ეწყებოდა და მანჭვა შემდეგს ხელსა და ფეხზედაც გადადიოდა. ბენედიქტემ განაცხადა, რომ მაგ სენის მიზეზი ტვინში უნდა იფარებოდეს, სწორედ იმ ადგილას, სადაც სახის ნერვებია თავმოყრილი. ავადმყოფს ბილროტის სამკურნალოში მაშინვე თავის ქალა აჭრიდეს და ელექტრონის შემწეობით ტვინიდგან ამოაცალეს თურმე ტვინის ის ნაწილი, რომელიც წამხდარიყო და სენად გადაქცეულიყო. ამ საოცარმა და შესანიშნავმა ოპერაციამ იმედი არ გაუმტყუნა ექიმს. ჭრილობა ადვილად მორჩა და ავადმყოფი ესლა არც სახესა ჰმანჭავს თურმე და ზნედისაგანაც განიკურნა.

— გაზ. „Financial and Insurance Chronicle"-ს გამოანგარიშნია, რომ ყოველ წლივ დედამიწის ზურგზედ 33 მილიონი ადამიანი იხოცება, მაშასადამე დღეში—91,554 სული, საათში—3,730 სული და წუთში—62 სული. ორთა შუა რიცხვით ადამიანი 38 წელსა სცოცხლობს. კაცობრიობის მეოთხედი ნაწილი შვიდ წლამდე იხოცება, ნახევარი—17 წლამდე. 10,000 სულში მხოლოდ ერთი სცოცხლობს 101 წლამდე, 500-ში ერთი—91 წლამდე და 100-ში ერთი—60 წლამდე. იმ ათასს კაცს შორის, რომელთაც 70 წლამდე მიუღწევიათ, 46 სასულიერო წოდებას ეკუთვნის, ან პოლიტიკოსია, 40 მეურნეა, 33 მუშა-კაცი, 32 სამხედრო წოდებისა, 29 ვექილი და ხუროთ-მოძღვარი, 27 პროფესორი და ექიმი-კი მხოლოდ 24.

— რას არ მოიგონებენ ამერიკელები! წარმოიდგინეთ, ამერიკული გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთის ჯარისათვის ახალი რამ გამოუგონიათ ბრძოლის დროს სახმარებლად. ეს ახალი ის არის, რომ ყოველს ჯარის-კაცს საფრანგეთის ჯარისას თან უნდა ჰქონდეს ჰაეროსტატი. ეს ჰაეროსტატი დასხვეული უნდა იყოს და ტანისამოსის ქვეშ ატარებდნენ. მტრის მოახლოების ჟამს ჰაეროსტატი ჯარის-კაცმა მხრებზედ უნდა მიიმაგროს და საბერველით ისე გაჰბეროს, რამდენადაც საჭიროა, რომ ჰაეროსტატს მისი მაღლა წაღება შეეძლოს. ამ ჰაეროსტატებით ჯარმა სამოც-ოთხმოც ვერსამდე უნდა გაიაროს საათში სულ ხტუნვით. ჯართან შეყრის დროს შეუძლიათ ჰაეროსტატები დაჰბერონ და მთელი ჯარი ჰაერში წავიდეს ასე ოც-დაათის საჟენის სიმაღლეზედ, რომ იქიდგან მტრის ჯარს დინამიტის სროლა დაუწყოს.

— ნიუ-იორკიდგან იუწყებიან, რომ აქ დიდის ინტერესით ჰსინჯავენ მაღლს, რომელსაც „Lord Bute" ეწოდება. ამ მაღლზედ დიდი მაღლი მთელს დედამიწის ზურგზედ არ მოიძებნება. მაღლი სენ-ბერნარდის ჯიშისაა, სიგრძით $^3/_4$ არშინია და 247 გირვანქას იწონს. ამ „ლომმა მაღლთა შორის" 26 გამოფენაზედ მიიღო პირველი საჩუქრები მაღლთა ჯიბრის დროს. ეს მაღლი ერთმა ამერიკელმა შეძლებულმა კაცმა იყიდა 38,000 მანათად.

## დეპეშა

12 მარტი

**პეტერბურგი.** გინცბურგის საქმის თაობაზედ მომხდარმა კრებამ ერთხმად გადასწყვიტა ადმინისტრაციის დაწესება.

**პარიჟი.** „Journal des Débats"-ის სიტყვით, პოლიციას აღმოუჩენია მთელი დასი ანარხისტებისა, რომელთაც გადაჭრილი ჰქონდათ—საწამლავი ვიხმაროთ ხოლმე იარაღადაო. სამი ანარხისტი დააპატიმრეს, ხოლო ამათი მომზადებული წამლები ლაბორატორიას გადასცეს გამოსაკვლევად.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ არ შეიწყნარა მეორედ წაკითხვა იმ ბილლისა, რომლის ძალითაც დღეში მხოლოდ 8 საათი უნდა იმუშაონ მთა-მადნის მუშებმა. მთავრობა წინააღმდეგი იყო ამ ბილლისა და უშესაფეროდ ჰხადიდა.

**ბერლინი.** გამოცხადებულია, რომ გრაფი კაპრივი დათხოვნილ იქმნა მინისტრ-პრეზიდენტობისაგან ც დარჩა წევრად პრუსიის სამინისტროსი და გარეშე საქმეთა მინისტრად და იმის ალაგას მინისტრ-პრეზიდენტად დაინიშნა გრაფი ეილენბურგი.

15 მარტი

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნაბრძანებია, რომ: გზათა სამინისტროს წარედგინოს ხოლმე დასამტკიცებლად, როდესაც არჩეულ იქმნებიან რკინის გზების უმაღლეს თანამდებობის კაცნი, სახელდობრ: გამგენი რკინის გზათა, დირექტორები, სამსახურისა და გზათა უფროსნი და სხვანი...

**რომი.** რომის სისხლის სასამართლომ გამოაცხადა თავისი განაჩენი 1891 წ. 1 მაისს ანარხისტთა მიერ ჩადენილ უწესოების შესახებ: ჩიპრიანსა და პალლას 2 წლითა და 8 თვით დაპატიმრება მიესაჯათ და ამასთანავე 1500 ფრანკი ჯარიმაც; სტუდენტს ორნერს, ტომით გერმანელს, ერთის წლით დაპატიმრება და 500 ფრანკი ჯარიმა, 49 სხვა ბრალდებულს კიდევ სხვა-და-სხვა სასჯელი, ხოლო 10 ბრალდებული გამართლებულ იქმნა.

პეტერბურგის ბირჟა, 10 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 92 | 7, 95 | — ,, |
| ჭამოყნის კუპონები . | $158^1/_2$ | $159^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1, 18 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $238^1/_2$ |
| — მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $221^3/_4$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | $198^1/_4$ | — ,, | $200^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — , | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

### პეტერბურგის ბირჟის უწყება

7 მარტს

გირაოს ფურცელნი:

| ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკისა: | მყიდველი. | გამყიდველი. | გაიყიდა. |
|---|---|---|---|
| 6% . . . . . . | 102 | $102^1/_2$ | — |
| 5% . . . . . . | $99^1/_2$ | — | — |
| ქუთაისისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102 | — | — |
| 5% . . . . . . | $99^1/_2$ | — | — |
| ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისა. . . . . | | | |
| 5% . . . . . . | $98^1/_4$ | $98^3/_4$ | $98^1/_4{}^3/_8$ |

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.
„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.
ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.
„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.
ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.
ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.
განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

## განცხადებანი


ახალი!!!
საპონი ოლეო-ვაზელინი
როიალ-კონგო!
ახალი ამბავი!!!
სურნელოვანი წყლები
FIN DE SIÈCLE
და სხვა საპარფიუმერო და საკოსმეტიკო საქონელი
ფაბრიკისა
„ვიქტორია რეგინასი"
ე. ბოდლო და ამხ.
მოსკოვში.
(10—7)

კერძო ექიმი
**პრეობრაჟენსკი**
არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ხასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.
ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.
ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, № 9, სახლი პაპოვისა. (10—10)

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა" და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის" მაღაზიაში ახალი წიგნი
**ზ ა დ ი გ ი**
მოთხრობა ვოლტერისა
გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ
ფასი 20 კაპ.
იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბოროტი" და ჰღირს 40 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება
ქართველთა ამხანაგობის და წერა-კითხვის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე „ამხანაგობის" ყველა აგენტებთან ახალი ქართული წიგნი
**უმანკო**
მ ო თ ხ რ ო ბ ა
ვ ო ლ ტ ე რ ი ს ა
ფ რ ა ნ გ უ ლ ი თ  ნ ა თ ა რ გ მ ნ ი
თ. სახოკიას მიერ
ფასი ექვსი შაური
იქვე ისყიდება თ. სახოკიას მიერვე ნათარგმნი
„უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა"
ვ. ჰ ი უ გ ო ს ი
ფასი ექვსი შაური

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| კედლის კალენდარი 1892 წ. მრავალის ცნობებით . . . . | „ | 40 |
| „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე . . . . . . . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი ერთად . . . . . . . . . | 7 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა . . . , . . . . . . . | 1 | 20 |
| იგივე, ყდით . . . . . . . . . . | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . . . — . | „ | 80 |
| იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . . . | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა" ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . . | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| იგივე, ყდით . . . . . . . . . . | „ | 75 |
| ბნელო, მოთხრობა მელანიასი (ფსევდონიმი) . . — . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი შედგ. ვ. გუნიას-მიერ . . . . | „ | 45 |
| სახალხო კალენდარი მისივე . . . . . . . | „ | 10 |
| უბის წიგნი (მშვენიერის ყდით) მისივე . . . . . | „ | 40 |
| მაცი ხვიტია, მოთხ. ან. ფურცელაძისა. . . . . | „ | 50 |
| ამპარტავანი გიორგი. თარგ. ილ. ფერაძისა . . . . | „ | 5 |
| კრილოვის არაკები, აკაკისა. . . . . . — . | „ | 30 |
| დ. ბაქრაძე, ბიოგრაფიული წერილი . . . . . | „ | 20 |
| „ცდა" III წ. . . . . . . . . . . | „ | 50 |
| „სამი კომედია" ავქ. ცაგარლისა . . . . . | „ | 60 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა . . . . . | „ | 25 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. . . . . . . | „ | 15 |
| სამი ცელქი, შ. მღვიმელისა . . . . . — . | „ | 20 |
| ძუნწი, მისივე . . . . . . . . — . | „ | 13 |